



ევროკავშირი
საქართველოსთვის


Funded by



Alliance
for Public Health



100%LIFE



ნარკოპოლიტიკა საქართველოში

2022 წლის ტენდენციები



სოციალური
საპარტიკიანობის
ცენტრი

ნარკოპოლიტიკა საქართველოში
2022 წლის ტენდენციები

ეს პუბლიკაცია შექმნილია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის, „სამოქალაქო საზოგადოებისა და პროფესიული ორგანიზაციების გაძლიერება საქართველოში უსაფრთხო, დაცული და ანგარიშვალდებული საზოგადოების უზრუნველსაყოფად“ და გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე, ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაციის მიერ გამოცხადებული ქვე-გრანტების პროგრამის, „მდგრადი სერვისები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონის სამიზნე მოსახლეობისთვის“ ფარგლებში, რომლის იმპლემენტაციაც ხდება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ორგანიზაციების კონსორციუმის მიერ, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის, „ალიანსი საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის“ და საზოგადოებრივი ორგანიზაცია „100% სიცოცხლე“ კოორდინირებით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, კონსორციუმში შემავალი ორგანიზაციებისა და გლობალური ფონდის პოზიციას. გლობალური ფონდი არ ყოფილა ჩართული მასალის შინაარსის შეთანხმებისა და დადასტურების, აგრეთვე მასში წარმოდგენილი მიგნებებისა და დასკვნების ჩამოყალიბების პროცესში. პუბლიკაცია ხელმისაწვდომია უფასოდ.

ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე, გიორგი ფოცხვერიშვილი

ანგარიშის ავტორი: თამარ ფაჩულია

რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ტირაჟი: 100

ISBN: 978-9941-8-5709-6

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თამარ ფაჩულია, „ნარკოპოლიტიკა საქართველოში - 2022 წლის ტენდენციები“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შესავალი	6
მეთოდოლოგია	7
ძირითადი მიგნებები	8
1. ნარკოდანაშაულის საკანონმდებლო ჩარჩო და ინიცირებული კანონპროექტები	10
2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შეფასება	12
3. ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული სტატისტიკა	14
3.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა	14
3.2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა	17
3.3. იძულებითი ნარკოტესტირება	23
3.4. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე	25
3.5. შეწყალების მექანიზმი	27
3.6. ფარული საგამოძიებო მოქმედებები	28
4. სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა	30
5. პრევენცია და ზიანის შემცირება	35
5.1. ნარკოტიკული საშუალებებით ზედოზირებისას ლეტალური შედეგის პრევენცია	36
5.2. სამკურნალო და სარეაბილიტაციო პროგრამები	37
შეჯამება და რეკომენდაციები	40

შესავალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი ყოველწლიურად აფასებს ქვეყანაში არსებულ ნარკოვითარებას და ამ მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებს.¹ წარმოდგენილი ანგარიში მიზნად ისახავს შეაფასოს 2022 წელს ნარკოპოლიტიკის სფეროში გამოვლენილი ტენდენციები, გამოკვეთოს ძირითადი გამოწვევები და ნარკოტიკულ დანაშაულებში ბრალდებული/მსჯავრდებული პირების, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გასცეს კონკრეტული რეკომენდაციები.

წინა წლების მსგავსად, ნარკოპოლიტიკის სისტემური რეფორმირების საკითხი არც 2022 წელს წარმოდგენდა პოლიტიკურად აქტუალურ საკითხს ან/და მასობრივი განხილვის საგანს. საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, არ დანერგილა ნარკოდანაშაულის პრევენციისა და მომხმარებელთა მკურნალობა-რეაბილიტაციის თვისებრივად ახლებური მიდგომები. შესაბამისად, არსებითად არ შეცვლილა ამ სფეროში არსებული გამოწვევები. საანგარიშო პერიოდში, წინა ორი წლისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად შემსუბუქებული/მოხსნილი იყო COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში დაწესებული შემზღუდველი ღონისძიებები. ამის გათვალისწინებით, ნარკოვითარების 2022 წლის ტენდენციების მიმოხილვა საინტერესოა ნარკოდანაშაულის გამოვლენაზე პანდემიისა და კოვიდრეგულაციების გავლენის შეფასების კუთხით.

ანგარიში ანალიზებს 2022 წელს ნარკოპოლიტიკის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს, მათ შორის, ნარკოდანაშაულის პრევენციის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს, აგრეთვე სტატისტიკურ ინფორმაციას როგორც სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული სტადიების, ისე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეაგირების კონტექსტში.

¹ სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2019-2021 წლებში გამოქვეყნებული ანგარიშები ნარკოპოლიტიკის თემაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3H7zeBc> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

მეთოდოლოგია

ანგარიში ძირითადად ეყრდნობა სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის სახით სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილ მონაცემებს. დოკუმენტის მომზადების პროცესში აგრეთვე გაანალიზდა ეროვნული ნარკოკანონმდებლობა, საჯარო უწყებების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული სტატისტიკა და საქმიანობის ანგარიშები.

ვინაიდან ანგარიშის ძირითადი წყარო სწორედ გამოთხოვილი ინფორმაცია იყო, დოკუმენტზე მუშაობის პროცესში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევები. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ნარკოვითარების შესაფასებლად 18 უწყებიდან გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები.

უწყებათა დიდმა ნაწილმა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სპეციალური პენიტენციური სამსახური და სხვ.) კანონმდებლობით დადგენილი ვადის არსებითი დარღვევით/არასრულყოფილი ფორმით მოგვანოდა ინფორმაცია. გაირკვა ისიც, რომ ხელმისაწვდომობა შედარებით მაღალია იმ ინფორმაციის შემთხვევაში, რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საქართველოს გენერალური პროკურატურა ამუშავებს, თუმცა ცალკეული უწყებების დაბალი ანგარიშვალდებულების პრაქტიკის ფონზე, საჯარო ინფორმაციაზე სრულყოფილი წვდომა საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ამასთანავე, წინა წლების მსგავსად, კვლავაც იკვეთება რელევანტური უწყებების მიერ არასრულყოფილი სტატისტიკის წარმოების პრობლემა, რაც უფრო დეტალურად შემდეგ თავებში იქნება განხილული.

ძირითადი მიგნებები

ანგარიშმა გამოკვეთა 2022 წელს სახელმწიფოს მიერ გატარებული ნარკოპოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები:

- საქართველოში მოქმედი ნარკოკანონმდებლობა პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე მეტად კვლავ სადამსჯელო მექანიზმების გამოყენებასა და მინოდების შეზღუდვისკენაა მიმართული;
- 2021-2022 წლების ანტინარკოტიკულ სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია საკანონმდებლო ბაზის დახვეწის საჭიროება,² თუმცა 2022 წელს ნარკოდანაშაულის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში არსებითი ცვლილება არ განხორციელებულა;
- საქართველოს პარლამენტი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების მომზადებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტიანად და დროულად აღსასრულებლად;
- საჯარო უწყებების დიდი ნაწილი ნარკოდანაშაულთან დაკავშირებულ ინფორმაციას არასრულყოფილად გასცემს. პრობლემურია სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიაც, რაც ხელს უშლის ეფექტიანი და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას;
- საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში აქვს ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური სარჩელი/წარდგინება, რომელთა განხილვაც ჭიანურდება;
- 2022 წელს რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის ჯამური მაჩვენებელი (5471), 2021 წელთან შედარებით (3873) გაზრდილია 41%-ით, რაც საანგარიშო პერიოდში დანაშაულის წლიური მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია;
- 2022 წელს გაიზარდა ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ჯამური მაჩვენებელი (4802) და ის მხოლოდ მცირედით ჩამორჩება პანდემიამდე არსებულ (2019 წლის) ნიშნულს (5120);
- საანგარიშო წელს ნარკოტიკულ დანაშაულებში მსჯავრდებულ პირებს ყველაზე ხშირად პირობითი სასჯელი ენიშნებოდათ (პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა 66%, რაც 10%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს) ყველაზე იშვიათად კი – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა;
- 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია ნარკოტიკულ შემოწმებაზე გადაყვანილი პირების რაოდენობა. ამასთანავე, მზარდია დადებითი შედეგის მქონე პირთა პროცენტული მაჩვენებელიც (72%);

2 2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oZnHrH> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

- გაზრდილია საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირების შეწყალების მაჩვენებელი – 2022 წელს პრეზიდენტმა ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებული 25 პირი შეიწყალა;
- კვლავაც პრობლემად რჩება ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხი. გარდა ამისა, პენიტენციურ სისტემაში კვლავაც არ არსებობს ოპიოიდებით ჩანაცვლების გრძელვადიანი სამედიცინო პროგრამა;
- ოპიოიდებით ზედოზირების დროს გამოსაყენებელი პირველადი დამხმარე საშუალების – პრეპარატ „ნალოქსონის“ მარაგი სააფთიაქო ქსელებში მცირეა. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას მასზე ხელმისაწვდომობის პრობლემაც.

1. ნარკოდანაშაულის საკანონმდებლო ჩარჩო და ინიცირებული კანონპროექტები

ქართული ნარკოპოლიტიკა არაერთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტით არის მოწესრიგებული. სამართლებრივი პასუხისმგებლობა ნარკოტიკული ნივთიერებების მიმართ განხორციელებული ქმედებებისთვის გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით. ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი პრევენციის მექანიზმები კი გათვალისწინებულია სხვადასხვა ნორმატიული აქტით, მათ შორის, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“³ და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“⁴ კანონებით.

2022 წელს ნარკოტიკული დანაშაულის მარეგულირებელ არცერთ საკანონმდებლო აქტში არ შესულა ცვლილება, თუმცა საქართველოს პარლამენტში დაინიცირდა ორი პროექტი. ორივე მათგანი ითვალისწინებს ცვლილებებს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში. ეს კანონი ნარკოპოლიტიკის კონტექსტში მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტია, ვინაიდან განსაზღვრავს კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა სიასა და ოდენობებს, აგრეთვე ამ ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის სამართლებრივ საფუძვლებს.⁵

პირველი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ 2022 წლის თებერვალში დაინიცირდა.⁶ კანონპროექტით ახლებურად განისაზღვრება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება – ბუპრენორფინის (ე.წ. სუბუტექსის) მცირე, საშუალო (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყისი), დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები. შესაბამისად, იცვლება როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.⁷ ცხრილის სახით წარმოდგენილია ბუპრენორფინის მოქმედი რედაქციითა და კანონპროექტით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობები.

3 კანონი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3N4N9tQ> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

4 კანონი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/43AZxZR> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

5 გურამ იმნაძე, სახელმძღვანელოში, „ნარკოტიკული დანაშაული“, 2020, (რედ.: ბ. ჭიშკარიანი), გვ. 33.

6 კანონპროექტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3N0xo2n>, (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

7 მცირე ოდენობა წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა კი სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების სფეროს ქვეშ ექვევა.

	მცირე ოდენობა	დიდი ოდენობა	განსაკუთრებით დიდი ოდენობა
მოქმედი კანონი ⁸	0,0012	0,012	0,12
კანონპროექტი ⁹	0,005	0,05	5

როგორც ცხრილიდან ჩანს, კანონპროექტით ბუპრენორფინის მცირე და დიდი ოდენობების ზღვარი დაახლოებით 4-ჯერ არის გაზრდილი, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემთხვევაში კანონპროექტით გათვალისწინებული ოდენობა 41-ჯერ აღემატება მოქმედი კანონით განსაზღვრულ ოდენობას. ვინაიდან პროექტით მნიშვნელოვნად იზრდება პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობები, საქმის გადასინჯვის შედეგად, შესაძლოა, გარკვეული კატეგორიის პირები გათავისუფლდნენ პენიტენციური დაწესებულებებიდან. ამრიგად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ორგანოში არ გაჭიანურდეს კანონპროექტის განხილვისა და მიღების პროცედურა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ინიცირებიდან წელიწადზე მეტი, ხოლო საკომიტეტო განხილვიდან რამდენიმე თვეა გასული, ის ჯერჯერობით პირველი მოსმენითაც არ მიუღიათ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს, რომ ოპტიმალურ ვადაში განიხილოს ის კანონპროექტები, რომლებიც უშუალოდ აისახება პირთა ფართო წრის თავისუფლების უფლების რეალიზებაზე.

რაც შეეხება მეორე კანონპროექტს,¹⁰ მისი ავტორი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტში ის მთავრობის მიერ 2022 წლის დეკემბერში დაინიცირდა. კანონპროექტით ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნუსხას (I სია), ასევე, №2 დანართით (*უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხა*) გათვალისწინებულ ნარკოტიკული საშუალებების ნუსხას ემატება რვა ახალი ნივთიერება. განმარტებითი ბარათის¹¹ მიხედვით, კანონპროექტის მიზანია საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების, კერძოდ კი, გაეროს 1961 წლის, 1971 წლის და 1988 წლის კონვენციების სიებში შეტანილი დამატებების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა. ეს კანონპროექტი 2023 წლის 2 მაისს პარლამენტმა მესამე მოსმენით, 77 ხმით, მიიღო.

8 „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, დანართი №2.

9 საქართველოს კანონის პროექტი – „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Noxo2n>, (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

10 „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Cmnok3> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

11 განმარტებითი ბარათი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/43B1y88> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შეფასება

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით ორი გადაწყვეტილება მიიღო. ორივე გადაწყვეტილება კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზეა მიღებული. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მხარს უჭერს საერთო სასამართლოების მხრიდან კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმის აქტიურად გამოყენების ტენდენციის დამკვიდრებას და იმედოვნებს, რომ მოსამართლეები სამომავლოდ მეტად გამოიყენებენ წარდგინების მექანიზმს, რათა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება კონსტიტუციასთან აშკარად შეუსაბამო ნორმას არ დაეფუძნოს. წარდგინების ინსტიტუტის გამოყენება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ნარკოტიკული დანაშაულის საქმეთა განხილვის დროს, ვინაიდან ნარკოდანაშაულთა უმეტესობა სასჯელის ერთ-ერთ, ზოგჯერ კი ერთადერთ სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, შესაბამისად, ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის რისკი განსაკუთრებულად მაღალია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე 2022 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ღირსების შემლახველად მიიჩნია¹² სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ნარკოტიკული საშუალება – „კანაფის ფისის“ (0,1315 გრამის ოდენობით) პირადი მოხმარების მიზნით, არაერთგზის შექმნა-შენახვის გამო (სსკ-ის 260-ე მუხლი). ეს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილების¹³ გამოძახილია და არსებითად ახალ სტანდარტს არ ამკვიდრებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირველად შეაფასა არაერთგზისი ნარკოტიკული დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის კონსტიტუციურობა. სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად დაეფუძნა ექსპერტების დასკვნას, რომლის მიხედვითაც 0,1315 გრამი კანაფის ფისი, წარმოადგენს საშუალოდ – ერთი მოხმარების, ხოლო მაქსიმუმ – 4 მოხმარების დოზას, რაც, ცხადია, მისი გავრცელების გარდაუვალობაზე არ მიუთითებს.¹⁴ გავრცელების მინიმალური რისკის არსებობის პირობებში კი, თავისუფლების აღკვეთა არაპროპორციულ სასჯელად იქნა მიჩნეული.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებების საფუძველზე, 2022 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ

12 სასამართლომ სსკ-ის 260-ე მუხლის სადავო ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად ცნო კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

13 საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე – „ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

14 საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება § 24.

აგრეთვე ღირსების შემლახველად¹⁵ მიიჩნია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება გამომშრალი მარიხუანის (არაუმეტეს 9.68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო. მოცემული საქმე კიდევ უფრო მეტად ჰგავს 2015 წლის გადაწყვეტილებაში¹⁶ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ვინაიდან საუბარია ერთი და იმავე ნარკოტიკულ საშუალებაზე. შესაბამისად, სასამართლოს უკვე შეფასებული ჰქონდა მარიხუანის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. მიუხედავად ამისა, 2022 წლის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად შეაფასა სსკ 262-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დაწესებული სასჯელის კონტიტუციურობა. სასამართლომ განმარტა, რომ მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შემოტანა მისი გასაღებისა და ბრუნვაში მოქცევის მხოლოდ მინიმალურ, ჰიპოთეტურ რისკებს აჩენს.¹⁷ აგრეთვე მინიმალურია სხვა ადამიანების ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის რისკები,¹⁸ რის გამოც თავისუფლების უფლებაში ჩარევა სასამართლომ გამართლებლად მიიჩნია.

მისასაღმებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ორივე გადაწყვეტილება 2015 წელს დამკვიდრებული პროგრესული პრეცედენტის შესაბამისად მიიღო, თუმცა მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში მათი დროული ასახვა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ამოქმედებიდან ერთი წლის შემდეგაც კი, საქართველოს პარლამენტს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში არ განუხორციელებია საკანონმდებლო ცვლილებები. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სამართლებრივი სტაბილურობისა და სიცხადის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილად მიიჩნევს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გონივრულ ვადაში მომზადებას.

15 სასამართლომ სსკ-ის 262-ე მუხლის სადავო ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად ცნო კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

16 საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე – „ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

17 საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება § 24.

18 იქვე, § 21.

3. ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული სტატისტიკა

2021-2022 წლებში საგრძნობლად შემცირდა რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის რაოდენობა. 2022 წლის ივნისიდან ქვეყანაში ფაქტობრივად აღარ მოქმედებს COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შემზღუდველი ღონისძიებები. მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხსნილი იყო შეკრებისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული რეგულაციები (კარანტინი, კომენდანტის საათი, მასობრივი და საჯარო თავყრილობების აკრძალვა), არ შეფერხებულა გასართობ-გასტრონომიული სივრცეების მუშაობა, რაც ძირითადად ახდენს გავლენას ნარკოტიკული დანაშაულის გამოვლენისა და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელზე. ამის გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში ნარკოდანაშაულის სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი და მისი შედარება წინა ორი წლის მონაცემებთან, გარკვეულწილად, იძლევა ნარკოტიკული დანაშაულების ჩადენისა და გამოვლენის დინამიკაზე პანდემიის გავლენის შეფასების საშუალებას.

2022 წელს, წინა ორ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი როგორც რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის, ისე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. არსებული მონაცემები, ძირითად შემთხვევებში, უახლოვდება პანდემიამდე არსებულ (2019) ნიშნულს. ეს თანაფარდობა ადასტურებს, რომ 2021-2022 წლების შემცირებული სტატისტიკა მეტწილად კოვიდრეგულაციების შედეგი იყო და ნაკლებად მიანიშნებდა ნარკოვითარების გაუმჯობესებაზე.

ნარკოდანაშაულის ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირებისა და სახელმწიფოს მიერ გატარებული ნარკოპოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით დაამუშავა სტატისტიკური მონაცემები, რაც ნაჩვენებია წინამდებარე თავში.

3.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

2018 წლიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პროაქტიულად აქვეყნებს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკას როგორც წლიური მონაცემების სახით, ისე კონკრეტული თვეების მიხედვით.¹⁹ წინამდებარე ქვეთავში ნაჩვენებია

¹⁹ შინაგან საქმეთა სამინისტრო – რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, 2022 წელი (ინვარიატეკმბერი) ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NoUh5K> (ვებომის თარიღი: 31.05.2023).


იქნება, ერთი მხრივ, რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის ჯამური რაოდენობა (სსკ-ის 260-274 მუხლები), მეორე მხრივ კი, სტატისტიკური ინფორმაცია ნარკოტიკულ დანაშაულთა თავით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულების შესახებ.

2022 წელს რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის ჯამური მაჩვენებელი, 2021 წელთან შედარებით, 41%-ით გაიზარდა. 2022 წელს 5471 ნარკოდანაშაული დარეგისტრირდა, 2021 წელს კი ეს მაჩვენებელი 3873-ს შეადგენდა. ეჭვს არ ბადებს ის ფაქტი, რომ მზარდი სტატისტიკა უმთავრესად რეგულაციების შემსუბუქება-მოხსნით უნდა იყოს განპირობებული, თუმცა, შესაძლოა, არსებობდეს დამატებითი ფაქტორებიც, რომლებიც გავლენას ახდენს მაჩვენებელზე. რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის მნიშვნელოვანი მატების მიზეზები რომ კომპლექსურია და ამ მიზეზების გამოვლენა რელევანტური უწყებების მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებს, ადასტურებს ორი გარემოება:

1. პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები ბევრი დანაშაულის ჩადენისათვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა, მათ შორის, თვალსაჩინოა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოვლენაზე შეზღუდვების გავლენა. ამის მიუხედავად, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა სახეებს შორის საანგარიშო პერიოდში დანაშაულის მატების ყველაზე მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი²⁰ სწორედ ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებით იკვეთება.
2. ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით განხორციელებული ქმედებებისთვის პასუხისმგებლობა, როგორც უკვე აღინიშნა, განისაზღვრება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი წესით, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით (45 და 45¹ მუხლები). ამ სამართალდარღვევებს დანაშაულისგან უმთავრესად ნარკოტიკული საშუალების ოდენობა (და არა მისი ჩადენის გარემოებები) განასხვავებს. შესაბამისად, შეზღუდვების მოხსნა-შემსუბუქებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზეც უნდა მოეხდინა გავლენა. ამის მიუხედავად, გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების რაოდენობა 2020-2022 წლებში პირიქით კლებადი ტენდენციით ხასიათდება (რაოდენობრივი მონაცემები დეტალურად შემდგომ ქვეთავებში იქნება ნაჩვენები).

2019-2022 წლებში რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის ჯამური და გახსნის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:

²⁰ 2022 წელს რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის ნამატი 2021 წელთან შედარებით 1598-ს შეადგენდა.




ნარკოტიკული დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 16 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებს აერთიანებს. მათგან, 2022 წელს მზარდი სტატისტიკა 8 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებით, ხოლო კლებადი ტენდენცია მხოლოდ 3 შემთხვევაში გამოვლინდა. წინა წლების მსგავსად, 2022 წელსაც, ნარკოტიკული დანაშაულებიდან ყველაზე გავრცელებული იყო:

- ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება შეძენა, შენახვა (სსკ-ის 260-ე მუხლი) – 2723 რეგისტრირებული დანაშაული
- კანაფის/მარიხუანის უკანონო შეძენა/შენახვა (სსკ-ის 273¹-ე მუხლი) – 1562 რეგისტრირებული დანაშაული
- ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის დათესვა, მოყვანა, კულტივირება (სსკ-ის 265-ე მუხლი) – 953 რეგისტრირებული დანაშაული.

ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული დანაშაულების რეგისტრაციის მაჩვენებელი 2019-2022 წლებში წარმოდგენილია დიაგრამის სახით:

გავრცელებული ნარკოტიკული დანაშაულის რეგისტრაციის მაჩვენებელი



2022 წლამდე შინაგან საქმეთა სამინისტრო რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკას მხოლოდ მუხლობრივ დონეზე ანარმოებდა. ამ ფორმით დამუშავებული მონაცემები კი არ იძლეოდა ნარკოვითარების ტენდენციების სრულყოფილად გამოკვეთის საშუალებას, ვინაიდან ნარკოდანაშაულთა უმეტესობა ერთ მუხლში რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებას აერთიანებს, ამ ქმედებების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი კი ერთმანეთისგან განსხვავებულია. 2022 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული დანაშაულების (სსკ-ის 260, 273¹ მუხლები) სტატისტიკის ფარგლებში გასაღების მაჩვენებლები განცალკევებულად გამოაქვეყნა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

3.2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა


ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და გამოტანილი განაჩენების რაოდენობრივი დინამიკის შესაფასებლად დამუშავდა საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და უზენაესი სასამართლოდან მიღებული საჯარო ინფორმაცია.

პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით²¹ დადასტურდა, რომ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნარკოტიკულ დანაშაულებზე სის-

21 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 30 იანვრის №13/5659 წერილი.

ხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ 2022 წლის რაოდენობრივი მონაცემების შედარება უფრო რელევანტურია 2019 წლის სტატისტიკასთან, ვინაიდან 2019 წელი COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის დაწყებამდე ბოლო წელი იყო. შესაბამისად, 2019 და 2022 წლების მონაცემების შედარება არ მოითხოვს რეგულაციების გათვალისწინებას.

2019-2022 წლებში ნარკოტიკულ დანაშაულებზე (სსკ-ის 260-274 მუხლები) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ჯამური სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:




როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2022 წელს ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ჯამური მაჩვენებელი მხოლოდ მცირედით ჩამორჩება 2019 წლის მონაცემებს, რაც ამ შემთხვევაშიც იმას ადასტურებს, რომ წინა ორი წლის განმავლობაში არსებული შედარებით პოზიტიური სურათი მეტწილად კოვიდ-რეგულაციების შედეგი შეიძლება ყოფილიყო და ძირითადი გამოწვევები ამ მიმართულებით არსებითად არ შეცვლილა.

2022 წელს ნარკოტიკული დანაშაულებიდან ყველაზე ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო:

- სსკ 260-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ნარკოტიკული საშუალების/მისი ანალოგის/პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა) – 1455-ჯერ

- სსკ 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულზე (დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება) – 241-ჯერ
- სსკ 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულზე (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება) – 462-ჯერ
- სსკ 273'-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე (მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა) – 230-ჯერ.

დიაგრამის სახით²² წარმოდგენილია ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობრივი თანაფარდობა 2019-2022 წლებში.



დიაგრამიდან ჩანს, რომ ძირითად შემთხვევაში 2019 წელს დევნის დაწყების რაოდენობრივი მაჩვენებელი მცირედით აღემატება 2022 წლის მონაცემებს. სსკ-ის 265-ე მუხლთან მიმართებით (დათესვა, მოყვანა, კულტივირება) კი, მდგომარეობა საპირისპიროა. ამ მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა 2022 წელს 885 პირის მიმართ დაიწყო, 2019 წელს კი დევნის დაწყების მაჩვენებელი 732-ს შეადგენდა. 2019 წლის მონაცემებთან შედარებით დადებითი ტენდენცია მხოლოდ სსკ-ის 273-ე მუხლზე (მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების დამზადება/შექმნა/მოხმარება) აღინიშნება.

²² დიაგრამაზე ასახულია თითოეული მუხლით დევნის დაწყების ჯამური (ყველა ნაწილისა და ქვეპუნქტის გათვალისწინებით) მაჩვენებელი.

იმის გათვალისწინებით, რომ სსკ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ნაკლებად მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება და მინიმალური საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია, დადებითად უნდა შეფასდეს ამ მუხლით დევნის დაწყების დაბალი მაჩვენებელი. ამასთანავე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიზანშეწონილად მიიჩნევს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების სრულად დეკრიმინალიზაციას, ვინაიდან ნარკომოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემაა და მას არა სადამსჯელო, არამედ პრევენციული მექანიზმების გამოყენებით უნდა უმკლავდებოდნენ.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, 2022 წელს დევნის შეწყვეტის მხოლოდ 20 შემთხვევა გამოვლინდა. შეწყვეტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (7) კი სისხლის სამართლის კოდექსის 273¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე (მცენარე კანაფის/მარიხუანის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა) იკვეთება. 2019-2022 წლებში დევნის შეწყვეტის რაოდენობა კონკრეტული მუხლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

სსკ-ის მუხლი ²³	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
260	8	6	7	6
261	2	2	0	1
265	2	1	5	6
273	1	0	2	0
273 ¹	3	11	14	7

უზენაესი სასამართლოსგან მიღებული ინფორმაციით,²⁴ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 2022 წელს განხილული²⁵ 3696 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 3735 პირის მიმართ,²⁶ რაც დაახლოებით 30%-ით აღემატება 2021 წელს განხილული საქმეებისა და გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობას. განხილული საქმეების ზრდის მიუხედავად, შემცირდა გამამართლებელი განაჩენების, ხოლო უცვლელი დარჩა სასჯელის დაუნიშნავად განხილული საქმეების რაოდენობა. საანგარიშო წელს, ისევე როგორც 2021 წელს, სასამართლოები მსჯავრდებულთა მიმართ ყველაზე ხშირად პირობით სასჯელს იყენებდნენ. კერძოდ, 2022 წელს განხილულ საქმეთა 66%-ზე მეტში მსჯავრდებულებს სწორედ პირობითი მსჯავრი დაენიშნათ, რაც 10%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს.²⁷

23 ის დანაშაულები, სადაც 2019-2022 წლებში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა, ცხრილში არ არის ასახული.

24 უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 17 თებერვლის № პ-116-23 წერილი.

25 განხილულ საქმეებში იგულისხმება საქმის დასრულება განაჩენის გამოტანით.


26 რაოდენობრივ მონაცემებში შედის ჭგუფურად ჩადენილი დანაშაულებიც, რის გამოც პირთა რაოდენობა აჭარბებს განაჩენების რაოდენობას.

27 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გიორგი ფოცხვერიშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში-2021 წლის ტენდენციები, 2022.

ამასთანავე, ნარკოტიკული დანაშაულების საქმეთა 92% საპროცესო შეთანხმებით დასრულდა.²⁸

სანგარიშო წელს ნარკოტიკულ დანაშაულებში მსჯავრდებულ პირებს ყველაზე ხშირად სასჯელის სახით ჯარიმა ენიშნებოდათ, ყველაზე იშვიათად კი – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის მაჩვენებელი ბოლო წლებში კლებადი ტენდენციით ხასიათდება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. 2022 წელს ჯამში 415 პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, რაც ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 11%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2021 წელს 13.7% იყო, 2020 წელს კი – 20%.

ჯამურად, ბოლო 4 წლის განმავლობაში ნარკოტიკულ დანაშაულებში მსჯავრდებული პირებისთვის დანიშნული სასჯელების რაოდენობრივი განაწილება შემდეგნაირია:




სოციალური სამართლიანობის ცენტრმა აგრეთვე გამოითხოვა სტატისტიკური მონაცემები ცალკეულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენებისა და დანიშნული სასჯელების შესახებ.

დიაგრამის სახით²⁹ ნაჩვენებია ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოყენებული სასჯელის სახეების რაოდენობრივი თანაფარდობა.

²⁸ 2021 წელს ეს მაჩვენებელი 90%-ს შეადგენდა.

²⁹ უმნიშვნელო რაოდენობის გამო დიაგრამაში არ არის ასახული სასჯელისგან გათავისუფლების სტატისტიკა. 2022 წელს, ყველა ნარკოტიკულ დანაშაულზე ჯამში 18 პირის მიმართ იქნა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად.




როგორც დიაგრამიდან ჩანს, სსკ-ის 260-ე (შეძენა/შენახვა) და 265-ე (დათესვა/კულტივირება) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე პირველი ინსტანციის სასამართლოები მასშტაბურად იყენებენ პირობითი მსჯავრის მექანიზმს, თუმცა მას შედარებით იშვიათად ვხვდებით 273¹ მუხლით (კანაფის/მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენა/შენახვა) გათვალისწინებულ დანაშაულში მსჯავრდებული პირების მიმართ. ამის მიზეზი, შესაძლოა, იყოს ის, რომ ძირითად შემთხვევაში სასამართლოები პირობით მსჯავრს საპატიმრო სასჯელის დანიშვნაზე უარის თქმის მექანიზმად იყენებენ. სსკ-ის 273¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა კი სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. დიაგრამიდან აგრეთვე იკვეთება სსკ-ის 273¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში მსჯავრდებულებისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ხშირი გამოყენების ტენდენცია. ეს ლოგიკურია, რადგან ამ მუხლის ძირითადი და ყველაზე გავრცელებული შემადგენლობები (პირველი, მეორე და მესამე ნაწილები) სასჯელის სახით მხოლოდ არასაპატიმრო სასჯელებს: ჯარიმასა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ითვალისწინებს.

დიაგრამის სახით აგრეთვე წარმოდგენილია ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდებით გამოტანილი განაჩენების³⁰ სტატისტიკა 2019-2022 წლებში.³¹

30 ნაგულისხმევია სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-7 ნაწილები, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე პერიოდში კი მხოლოდ მე-4 და მე-5 ნაწილები.

31 უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 17 თებერვლის № 3-116-23 წერილი.



მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის ბოლოს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მნიშვნელოვნად დამძიმდა ნარკოტიკული საშუალების გასაღების-თვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა, საანგარიშო წელს არათუ შემცირებული, არამედ გაზრდილია ამ ბრალდებით გამოტანილი განაჩენების რაოდენობა. მართალია, მხოლოდ განაჩენების რაოდენობის საფუძველზე რთულია აბსოლუტურად სარწმუნო დასკვნის გამოტანა მითითებული დანაშაულის გავრცელების თაობაზე, თუმცა წარმოდგენილი ტენდენცია, როგორც მინიმუმ, იმაზე მიუთითებს, რომ სასჯელის დამძიმება ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას და ამ ტიპის საკანონმდებლო ცვლილებები დარგობრივ კვლევებს უნდა ეფუძნებოდეს.³²

3.3. იძულებითი ნარკოტესტირება

კანონმდებლობაში შეტანილი განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე ჩატარებული ე.წ. ქუჩის ნარკოტესტირება დღემდე არაეთიკურ და რეპრესიულ მექანიზმად რჩება,³³ რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკებს შეიცავს. ამასთანავე, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, პოლიციური კონტ-

32 ვრცლად ამ თემაზე იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გიორგი ფოცხვერიშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში – 2021 წლის ტენდენციები, 2022, გვ. 16.

33 ვრცლად ამ თემაზე იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი – „რა შეიცვალა იძულებითი ნარკოტესტირების პრაქტიკაში?“ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/44a9s9x> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

როლის სახეს იძენს.³⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი წლების განმავლობაში პრობლემურად მიიჩნევა სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა იძულებით ნარკოლოგიურ ტესტირებაზე წარდგენის მარეგულირებელ კანონმდებლობასა და პრაქტიკას.³⁵ ე.წ. ქუჩის ნარკოშემოწმების მარეგულირებელი ნორმები 2015 წელს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა,³⁶ თუმცა სასამართლოს ამ დრომდე არ შეუფასებია სადავო ნორმების კონსტიტუციურობა.

იძულებით ნარკოშემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით³⁷ რეგულირდება. 2015 წლამდე შემოწმებაზე გადაყვანის კონკრეტული საფუძვლები ნორმატიულად არ იყო გაწერილი და სამართალდამცავებს ზოგადი წესით, გონივრული ეჭვის საფუძველზე შეეძლოთ პირის იძულებით შემოწმებაზე გადაყვანა. განხორციელებული ცვლილებებით, მართალია, განისაზღვრა გამოსაკვლევად წარდგენის 3 საფუძველი, თუმცა ფართო შინაარსისა და ბუნდოვანი წინაპირობების ფონზე³⁸ კვლავაც რჩება სამართალდამცავების მხრიდან თვითნებობისა და ადამიანის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის რისკები.³⁹

ბოლო წლებში ნარკოლოგიურ ტესტირებაზე წარდგენილ პირთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იკლო, თუმცა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, რთული იყო იმის დადგენა, კლებადი ტენდენცია შინაგან საქმეთა სამინისტროს გააზრებული სტრატეგია იყო თუ კოვიდრეგულაციების თანმდევი შედეგი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ნარკოტესტირებაზე წარდგენილ და მათგან დადებითი შედეგის მქონე პირთა თანაფარდობა 2019 წლის მონაცემებს შევადაროთ.

დიაგრამის სახით ნაჩვენებია გამოსაკვლევად წარდგენილი და დადებითი შედეგის მქონე პირების რაოდენობა 2019-2022 წლებში.

34 ი. კაჭკაჭიშვილი და სხვები – „დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა“, 2021, გვ. 22.


35 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გიორგი ფოცხვერიშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში – 2021 წლის ტენდენციები, 2022, გვ. 24.

36 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ (2015 წლის 25 ნოემბრის კონსტიტუციური სარჩელი).

37 „ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევად წარდგენის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №725 ბრძანება.

38 განსაკუთრებით ეხება ეს შსს-ის №725 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს.

39 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „რა შეიცვალა იძულებითი ნარკოტესტირების პრაქტიკაში?“ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/44a9s9x>; (წვდომის თარიღი: 31.05.2023).





დიაგრამიდან ჩანს, რომ 2022 წელს, წინა ორ წელთან შედარებით, გაზრდილია ნარკოტესტირებაზე წარდგენილ პირთა რიცხვი, თუმცა ეს მონაცემი მაინც თითქმის ორჯერ ნაკლებია პანდემიამდე (2019) არსებულ რაოდენობაზე. ამასთანავე, დადებითი შედეგის მქონე პირთა პროცენტული მაჩვენებელი 2022 წელს 72%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი წინა 3 წლის განმავლობაში 64%-ს არ აღემატებოდა. ამგვარი თანაფარდობა ცხადყოფს, რომ ტესტირებაზე წარსადგენად პირთა შერჩევა ბოლო წლებში ლოგიკურ ჩარჩოებში ექცევა. შესაბამისად, თანდათან იცვლება ობიექტური საფუძვლის გარეშე – სტერეოტიპული მიდგომითა და პოლიციელთა სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე პირთა ტესტირებაზე წარდგენის მავნე პრაქტიკა. გარდა ამისა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან ერთად იძულებითი ნარკოტესტირების მასშტაბების შემცირებას უჭერს მხარს. მოხმარების დეკრიმინალიზაციის პირობებში, პირები მხოლოდ რისკ-გარემოებების არსებობის შემთხვევაში უნდა მონმდებოდნენ.

3.4. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან/მცირე ოდენობით შეძენა-შენახვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდგომში: ასკ) 45 და 45¹ მუხლებითაა გათვალისწინებული. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ორივე შემთხვევაში მცირე ოდენობის ნარკოტიკულ საშუალებას უკავშირდება.

ისევე როგორც ყველა სამართალდარღვევაზე, ასკ-ის 45-ე და 45¹-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შემთხვევაშიც, კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოს შესაძლებლობას, ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო გაათავისუფლოს სამართალდამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას.⁴⁰

დიაგრამის სახით წარმოდგენილია ასკ-ის 45-ე და 45¹-ე მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა 2019-2022 წლებში, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკას ეყრდნობა.⁴¹



40 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 22.

41 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის № 53-23 წერილი.

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, მცირედითაა გაზრდილი ასკ-ის 45-ე მუხლის (ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით დამზადება/შექმენა) საფუძველზე სახდელდადებულ პირთა რაოდენობა, ხოლო 45¹ მუხლთან (კანაფის/მარიხუანის მცირე ოდენობით შექმენა/ შენახვა) მიმართებით 2020-2022 წლებში კლებადი ტენდენცია გამოიკვეთა. ორივე შემთხვევაში მზარდია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების მაჩვენებელი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

3.5. შეწყალების მექანიზმი


შენწყალება პრეზიდენტისთვის კონსტიტუციით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, რომელიც მსჯავრდებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. გარდა მსჯავრდებულთა მიმართ ჰუმანური მოპყრობისა, შეწყალების მექანიზმი აგრეთვე მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს.⁴² იმის შესაფასებლად, თუ რამდენად აქტიურად იყენებს საქართველოს პრეზიდენტი შეწყალების ინსტიტუტს ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა მიმართ, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოითხოვა ინფორმაცია.⁴³ როგორც გაირკვა, 2022 წელს საქართველოს პრეზიდენტმა 61 მსჯავრდებული შეინწყალა (როგორც თავისუფლებადკვეთილი, ისე სხვა სახის სასჯელის მქონე). მათგან 25 ნარკოტიკული დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. 25 შეწყალებული პირიდან 20 მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ხოლო 5-ს მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი შეუმცირდა.

დიაგრამაზე ასახულია პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ პირთა რაოდენობა 2019-2022 წლებში.

42 ვრცლად ამ თემაზე იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თორნიკე გერლიანი – „შენწყალების პოლიტიკურობა და კონსტიტუციური წესრიგის ლოგიკა“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NNrMhe> (წვდომის თარიღი: 31.05.2023)

43 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2023 წლის 25 იანვრის №397 წერილი.

შენწყალბებულ პირთა რაოდენობა 2019–2022 წლებში



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2022 წელს გაზრდილია ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა შეწყალების მაჩვენებელი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. 2022 წელს ამ კატეგორიის დანაშაულზე შეწყალებულ პირთა რაოდენობა წინა 3 წლის განმავლობაში ნარკოდანაშაულზე შეწყალებულ პირთა ჯამური ოდენობის ტოლია.⁴⁴ სოციალური სამართლიანობის ცენტრი იმედოვნებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი, ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა სოციალური და უფლებრივი რეაბილიტაციის მიზნით, მომდევნო წლებში უფრო აქტიურად გამოიყენებს შეწყალების მექანიზმს.

3.6. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

2022 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა ფარული მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გააუარესა.⁴⁵ საკანონმდებლო ცვლილებებით გაიზარდა მოსმენების ვადა და გაფართოვდა იმ დანაშაულთა წრე, რომელზეც შესაძლებელია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. არსებული რეგულაციები ზრდის სამართალდამცავი ორგანოების თვითნებობისა და ბრალდებული (მათ შორის ნარკოტიკულ დანაშაულში) პირების პირად ცხოვრებაში უსაფუძვლო ჩარევის რისკებს.

44 მიუხედავად შეწყალების გაზრდილი რაოდენობისა, ცალსახაა, რომ წინა პრეზიდენტი გაცილებით აქტიურად იყენებდა შეწყალების მექანიზმს, რაც, შესაძლოა, ობიექტური მიზეზებით (2018 წლამდე არსებული რეპრესიული/მკაცრი კანონმდებლობა, არათანმიმდევრული პრაქტიკა) იყოს განპირობებული.

45 სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება – ფარული მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა კიდევ უფრო უარესდება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3oxpvO5> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

საქართველოს უზენაესი სასამართლო პროაქტიულად აქვეყნებს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩანერის შესახებ განხილული შუამდგომლობების სტატისტიკას დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით.⁴⁶ 2022 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლზე (ნარკოტიკული საშუალების დამზადება//შეძენა/შენახვა/გასაღება) პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 91 შუამდგომლობა განიხილეს. მათგან სრულად დაკმაყოფილდა 78, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 3, ხოლო არ დაკმაყოფილდა მხოლოდ 10 შუამდგომლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი აერთიანებს რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებას. მათგან საზოგადოებრივი საშიშროების ყველაზე მაღალი ხარისხით ნარკოტიკული საშუალების გასაღება ხასიათდება. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა არ იძლევა იმის დადგენის შესაძლებლობას, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შუამდგომლობები გასაღებასთან მიმართებით იყო დაყენებული, თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულს უკავშირდებოდა. შესაბამისად, რთულდება იმის შეფასებაც, იყო თუ არა ობიექტური აუცილებლობით განპირობებული საანგარიშო წელს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.

46 სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩანერის მონაცემების სტატისტიკა იხ. <https://bit.ly/3N3OyRE>, (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

4. სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მე-3 მუხლი ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირებისთვის ე.წ. „სამოქალაქო უფლებების“ ავტომატურად ჩამორთმევას ითვალისწინებს,⁴⁷ ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (ასკ-ის 45¹ მუხლი) ჩამდენი პირებისთვის უფლებების ჩამორთმევის დისკრეციას მთლიანად საქმის განმხილველ მოსამართლეს უტოვებს.⁴⁸ სამოქალაქო უფლებებში მოიაზრება:

- სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება
- საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე, აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება
- საადვოკატო საქმიანობის უფლება
- პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება
- საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება
- პასიური საარჩევნო უფლება
- იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

კანონის მოქმედება ვრცელდება შემდეგ სუბიექტებზე:

1. ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი;
2. ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელი;
3. ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობი;
4. ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი;
5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (ასკ 45¹ მუხლი-მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, მოხმარება ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა) ჩამდენი პირები.

კანონი განსხვავებულ ვადებს აწესებს სხვადასხვა ტიპის დანაშაულში მსჯავრდებულებისთვის და ეს ვადები 3-დან 20-წლამდე პერიოდს მოიცავს.⁴⁹

სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიიჩნევს, რომ უფლებების ჩამორთმევის მარეგულირებელი ნორმები პრობლემურია როგორც ნარკოტიკულ დანაშაულებში მსჯავრდებული, ისე სამართალდამრღვევი პირების მიმართ. პირველ რიგში, კა-

47 კანონის მე-3 მუხლი.

48 იქვე, 1² პუნქტი.

49 კანონის მე-2 მუხლი – ტერმინთა განმარტება: მაგალითისთვის, ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლად ითვლება პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით, 273¹ მუხლის პირველი ნაწილით ან/და 275-ე მუხლით/276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ნონით ბლანკეტური რეგულირების ნაცვლად, საქმის განმხილველ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიღებით შეაფასოს მსჯავრდებულისთვის უფლებების ჩამორთმევის საჭიროება და მიზანშეწონილობა. ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას გასათვალისწინებელ გარემოებებში კი შეგვიძლია მოვიზიაროთ: დანაშაულის კატეგორია, ნარკოტიკული საშუალება და მისი ოდენობა, გასაღების მიზნის არსებობა, დამნაშავის ინდივიდუალური მახასიათებლები და სხვ. მსჯავრდებულის პირებისთვის სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის საკითხის ინდივიდუალური გადაწყვეტა მიზანშეწონილია რამდენიმე მიზეზის გამო:

- დისკრეციული უფლებამოსილების არსებობის პირობებში მოსამართლეს ექნება ვალდებულება, დაასაბუთოს უფლების ჩამორთმევის აუცილებლობა
- უფლების ჩამორთმევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები იქნება არა ფორმალური, არამედ კონკრეტული საქმის გარემოებებზე დაფუძნებული
- მოსამართლეს ექნება შესაძლებლობა, მსჯავრდებულს ჩამოართვას არა კანონით გათვალისწინებული ყველა უფლება, არამედ მხოლოდ ის უფლებები, რომელთა რეალიზება დამნაშავის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნება საფრთხისშემცველად
- მოსამართლე უფლებამოსილი იქნება, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით დაადგინოს უფლების ჩამორთმევის კონკრეტული ვადა (კანონით გათვალისწინებულ ზღვრულ ფარგლებში). არსებული რეგულირებით, გათვალისწინებულია უფლების ჩამორთმევის არა მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, არამედ ერთი კონკრეტული ვადა, რაც საერთოდ არ ტოვებს საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტისა და პროპორციული შეზღუდვის დანესების შესაძლებლობას.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, დარგის სპეციალისტები წლების განმავლობაში პრობლემურად აფასებდნენ სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის მექანიზმს და მისი რეფორმირების საჭიროებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ამის საპირისპიროდ, 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით,⁵⁰ უფლების ჩამორთმევის მარეგულირებელი ნორმების მოქმედება გაფართოვდა და გავრცელდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (ასკ-ის 45¹ მუხლი) ჩამდენი პირების მიმართაც. მსჯავრდებულის პირებისგან განსხვავებით, სამართალდამრღვევების შემთხვევაში კანონმდებლობა ბლანკეტურად არ ადგენს უფლების ჩამორთმევის ვალდებულებას და საქმის განმხილველ მოსამართლეს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

50 საქართველოს კანონი – „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე – 30/11/2018. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/45ZaOED> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

ამგვარი დისკრეციული უფლებამოსილების პირობებში მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა:

- საერთოდ არ ჩამოართვას სამართალდამრღვევს კანონით გათვალისწინებული უფლებები
- სამართალდამრღვევს ჩამოართვას არა ყველა სამოქალაქო უფლება, არამედ ერთი ან რამდენიმე მათგანი
- თავად განსაზღვროს უფლების ჩამორთმევის ვადა (არა უმეტეს 3 წლისა).

მსჯავრდებულთა მიმართ მოქმედი ბლანკეტური შეზღუდვის ნაცვლად, დისკრეციული უფლებამოსილების არსებობა საკითხის სამართლიანად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა, თუმცა ე.წ. „სამოქალაქო უფლებების“ ჩამორთმევის მექანიზმი სამართალდამრღვევ პირებზე საერთოდ არ უნდა ვრცელდებოდეს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (ასკ) 45¹ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაკავშირებულია მხოლოდ მცირე ოდენობის მარიხუანასთან/კანაფთან, რომელიც, ერთი მხრივ, არ იწვევს დამოკიდებულების სწრაფად ჩამოყალიბებას, მეორე მხრივ კი, საზოგადოების ჯანმრთელობას მხოლოდ ჰიპოთეტურ რისკებს უქმნის. შესაბამისად, ამ კატეგორიისა და ოდენობის ნარკოტიკულ ნივთიერებებთან მიმართებით ჩადენილი სამართალდარღვევისთვის სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა არაპროპორციული შეზღუდვაა.

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე უფლებების ჩამორთმევის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გამოითხოვა უზენაესი სასამართლოდან, თუმცა მოთხოვნილი ინფორმაცია არ გადმოგვეცა იმ საფუძვლით, რომ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა სასამართლოებში მოქმედი სტატისტიკური ანგარიშების ფორმებში არ აღირიცხება.⁵¹ ამავე მიზეზით არ მოგვანოდა ინფორმაცია დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომაც.⁵² საჯარო უწყებების მხრიდან ინფორმაციის გაცემაზე უარი საფუძვლით, რომ მათ მიერ უკვე ნაწარმოებ სტატისტიკაში არ მოიპოვება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, არასასურველ ტენდენციად დამკვიდრდა. ამ საფუძვლით საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს და არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას.⁵³ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საჯარო დაწესებულებებს არ ათავისუფლებს

51 უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 იანვრის №3-53-23 წერილი.

52 სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 2 მარტის № 2/18391 წერილი.

53 საქართველოს კონსტიტუცია, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი.

დიდი მოცულობის ან/და ისეთი ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემის ვალდებულებისგან, რომელიც სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას მოითხოვს.⁵⁴ ამასთანავე, სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება მნიშვნელოვანია იმის შესაფასებლად, თუ როგორ იყენებენ მოსამართლეები მინიჭებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას და რამდენად ერთგვაროვანია ამ მექანიზმის გამოყენებასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების პრაქტიკა. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ არ აღირიცხება ეს მონაცემები ცალკეულ სასამართლოებში.

კანონმდებლობა აღგენს ჩამორთმეული სამოქალაქო უფლებების აღდგენის საფუძვლებსა და პროცედურას. კერძოდ, ჩამორთმეული უფლებების მოპოვება დასაშვებია: 1. კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. 2. სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში: „სააგენტო“) პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიისთვის (შემდგომში: „კომისია“) მიმართვის საფუძველზე.⁵⁵ 2022 წელს უფლებების აღდგენის თაობაზე კომისიას განცხადებით მიმართა 233-მა პირმა, საიდანაც 206 განცხადება დაკმაყოფილდა.⁵⁶

მსჯავრდებულებისთვის სამოქალაქო უფლებების ავტომატური ჩამორთმევის საკითხი სოციალური სამართლიანობის ცენტრმა ჯერ კიდევ 2015 წელს გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში. კონსტიტუციური სარჩელით⁵⁷ სადავოდ არის გამხდარი:

1. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის ის ნორმები, რომლებიც სამოქალაქო უფლებების ავტომატურ ჩამორთმევას ითვალისწინებს ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებული პირებისთვის;
2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ის ნორმა, რომელიც საჯარო სამსახურში საქმიანობის ბლანკეტურ და აბსოლუტურ აკრძალვას აწესებს მსჯავრდებული პირებისთვის.

54 ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.

55 კანონის მე-6 მუხლი.

56 სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 3 თებერვლის № 2/9675 წერილი.

57 საქართველოს მოქალაქეები – კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი № 2/12/702; 16.12.2015).

სარჩელის თანახმად, გასაჩივრებული ნორმები ეწინააღმდეგება⁵⁸ თანასწორობის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ღირსების ხელშეუვალობის, აგრეთვე სა-არჩევნო, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებებსა და შრომის თავისუფლებას. კონსტიტუციური სარჩელი 2015 წელს დარეგისტრირდა და რეგისტრაციიდან თითქმის 8 წლის შემდეგაც კი, საკონსტიტუციო სასამართლოს არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. სოციალური სამართლიანობის ცენტრი გაუმართლებლად მიიჩნევს საქმის განხილვის ამ ხანგრძლივობით გაჭიანურებას, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული სარჩელი ეხება ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას.⁵⁹

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ფორმით უფლებების ჩამორთმევის მექანიზმის არსებობას არ აქვს ლეგიტიმური საფუძველი და მხოლოდ ნარკომომხმარებელთა სტიგმატიზებას ემსახურება. სისხლის სამართლის საქმის განხილველ მოსამართლეს კანონმდებლობა ისედაც აძლევს შესაძლებლობას, დამატებითი სასჯელების გამოყენებით სხვადასხვა ტიპის საქმიანობა შეუზღუდოს ბრალდებულს. ამასთანავე, თუ დამატებითი სასჯელის დანიშვნა მოსამართლის უფლებამოსილებაა, მსჯავრდებულებს უფლებები ავტომატურად ჩამოერთმევათ. ამგვარი რეგულირება „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გაგრძელებაა და არაპროპორციულად ზღუდავს მსჯავრდებულთა უფლებებს.

58 ვინაიდან სარჩელი შეტანილი იყო 2015 წელს, მასში მითითებულია კონსტიტუციის ძველი რედაქციის შესაბამისი მუხლები.

59 გადაწყვეტილების მიღების პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოში კიდევ არაერთ სარჩელთან მიმართებით გიანურდება. ვრცლად ამ საკითხზე იხ: სოციალური სამართლიანობის ცენტრი – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეთა გაჭიანურების პრობლემა ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/440kpdF>, (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

5. პრევენცია და ზიანის შემცირება

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენცია საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვის ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების ჯაჭვს აერთიანებს. ამ ჯაჭვის რგოლებია: პრევენცია, მკურნალობა-რეაბილიტაცია, ზიანისა და მონოდების შემცირება.⁶⁰ ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში, ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის მიზნით მართალია, ხორციელდება წერტილოვანი ღონისძიებები, თუმცა პროგრამების უმეტესობა ფრაგმენტულია. შესაბამისად, განვითარებას საჭიროებს ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპლექსურ და ერთიან მიდგომას ეროვნულ დონეზე პრევენციის ყველა ფორმის გათვალისწინებით.⁶¹

როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წლის დასაწყისში ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისმა საბჭომ 2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.⁶² სამოქმედო გეგმა, სხვა საკითხებთან ერთად, პრევენციის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალსაც მოიცავს. პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი პირველადი პრევენციის გაძლიერება და სკოლებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამების დანერგვაა.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისგან მიღებული ინფორმაციით,⁶³ სკოლებში ხორციელდება ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების პრევენციისკენ მიმართული ორი პროგრამა:

- 13 წლამდე ასაკის მოსწავლეებთან – პროგრამა „ნივთიერებათა ავადმომხმარების პრევენცია მტკიცებულებითი მეთოდის (EUDAP Unplugged Program) გამოყენება“
- 13 წლის ზემოთ მოზარდებისთვის – პროგრამა „სარისკო ქცევების პრევენცია“.

საანგარიშო წელს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის 13 წლამდე ასაკის მოსწავლეებზე ორიენტირებული პროგრამა ჩატარდა 4 საჯარო სკოლის 8 კლასში. ხოლო, 13 წელს ზემოთ მოსწავლეების პროგრამა – 41 საჯარო სკოლის 49 კლასში. ჯამურად პროგრამების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, 539 სესია გაიმართა.⁶⁴

60 ნარკოტიკების ავადმომხმარების პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/43BgT8G> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

61 ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი – ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2019.

62 ნარკოტიკების ავადმომხმარების პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/43BgT8G> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

63 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2023 წლის 28 აპრილის № MES 4 23 0000471903 წერილი.

64 იქვე.

5.1. ნარკოტიკული საშუალებებით ზედოზირებისას ლეტალური შედეგის პრევენცია

საქართველოში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა სავარაუდო რაოდენობა 50 000-დან 56 000-მდე მერყეობს.⁶⁵ ქვეყნის მასშტაბით ზედოზირებით სიკვდილის ფაქტების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, გლობალურად ყოველ წელს ზედოზირების შემთხვევების გამო დაახლოებით 70,000-100,000 ადამიანი ადამიანი იღუპება.⁶⁶ შესაბამისად, ზედოზირების მართვის საკითხი დღეისთვის მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში, განსაკუთრებულად აქტუალურია.⁶⁷

ოპიოიდური⁶⁸ ნარკოტიკის ზედოზირებით გამოწვეული ლეტალური შედეგების პრევენციისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნალოქსონის ხელმისაწვდომობა. „ნალოქსონი“ არის პრეპერატი, რომელიც მომენტალურად ბლოკავს ორგანიზმზე ოპიოიდების მოქმედებას, შესაბამისად, რეალურად შეუძლია ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება. საქართველოში „ნალოქსონი“ II ჯგუფის პრეპარატების სიას მიეკუთვნება და გაიცემა ფორმა №3 რეცეპტით. გარდა ამისა, მთავრობის 2022 წლის 22 მარტის დადგენილებით,⁶⁹ „ნალოქსონი“ დაემატა „გადაუდებელი დახმარების ჩანთის“ მედიკამენტების სიას, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველადი, გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას პრეპარატის შეძენა რეცეპტის გარეშე შესაძლებელია.

ამ პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება „ნალოქსონზე“ საზოგადოების მაღალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ვინაიდან სააფთიაქო ქსელებში პრეპარატის მარაგი საკმაოდ მცირეა. სააფთიაქო ქსელების (შპს „პსპ-აფთიაქი“, „ავერსი“, „ჯეს-აფთიაქი“, „ფარმადეპო“, „იმპექსი“) ვებგვერდების ანალიზით ვიგებთ, რომ „ნალოქსონი“ მხოლოდ „ავერსის“ სააფთიაქო ქსელშია ხელმისაწვდომი. კომპანია „ავერსის“ ფილიალებიდანაც, პრეპარატი თბილისის 10 და რეგიონების მხოლოდ 9 ფილიალშია წარმოდგენილი. „ნალოქსონის“ მარაგის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად სოციალური სამართლიანობის ცენტრმა წერილობითაც მიმართა სააფთიაქო ქსელებს, კერძოდ, გამოითხოვა ინფორმაცია კერძო სააფთიაქო ქსელების მიერ საანგარიშო პერიოდში შე-

65 საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“, საერთაშორისო ფონდი კურაციო – „ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების პოპულაციის ზომის შეფასება საქართველოში“, 2017.

66 UNAIDS, Do No Harm, 2016. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3C4WWeE> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

67 ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის-Ghrn-ის განცხადება სოციალურ ქსელში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3H7DiI5> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

68 ოპიატებსა და ოპიოიდებს განეკუთვნება შემდეგი ნივთიერებები: მორფინი, კოდეინი, პერონი, მეტადონი და ფენტანილი, დეზომორფინი, ე.წ. სირეცი და ა.შ.

69 საქართველოს მთავრობის 2022 წლის 22 მარტის №141 დადგენილება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3F6WJln>, (წვდომის თარიღი: 31.05.2023) იხ. ასევე. „გადაუდებელი დახმარების ჩანთის“ სიის მედიკამენტები: <https://bit.ly/3LH0Ptl>.

მოტანილი და რეალიზებული „ნალოქსონის“ ჯამური რაოდენობის შესახებ, თუმცა შესაბამისი პასუხი არცერთი მათგანისგან არ მიგვიღია.⁷⁰ „ნალოქსონის“ სასიცოცხლო მნიშვნელობის გათვალისწინებით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოუწოდებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სააფთიაქო ქსელებთან კომუნიკაციისა და ადვოკატირების გზით უზრუნველყოს პრეპარატის ხელმისაწვდომობა.

5.2. სამკურნალო და სარეაბილიტაციო პროგრამები

საქართველოში ოპიოიდებზე დამოკიდებულების მკურნალობის ორი მეთოდი გამოიყენება: ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გარეშე ცხოვრებაზე ორიენტირებული თერაპია და აგონისტებით მხარდამჭერი მკურნალობა, ანუ ჩანაცვლებითი თერაპია. მრავალწლიანმა საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მკურნალობის ისეთი მეთოდები, რომლებიც თავიდანვე ორიენტირებულია ნარკოტიკული საშუალების მიღების შეწყვეტაზე, ნაკლები ეფექტიანობით ხასიათდება.⁷¹ აქედან გამომდინარე, თანამედროვე მედიცინაში ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია (ოჩთ) ოპიოიდებზე დამოკიდებული პირების მკურნალობისა და მართვის ყველაზე ეფექტიან და გრძელვადიანი შედეგის მქონე მეთოდად არის აღიარებული. ამ მეთოდით მკურნალობა, პირველ რიგში, ხელს უწყობს ნარკოტიკების არალეგალურად მოხმარების, აგრეთვე აივ ინფექციებთან დაკავშირებული სარისკო ქცევებისა და ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირებას.⁷²


საქართველოში ოჩთ პროგრამა 2005 წლიდან ხორციელდება და ამ პერიოდიდან მოყოლებული, პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. დიაგრამის სახით გამოსახულია ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული პირების მკურნალობისთვის ჯანდაცვის წლიური ბიუჯეტიდან 2019-2022 წლებში გამოყოფილი თანხის რაოდენობა.

70 სააფთიაქო ქსელებს არ აქვთ ინფორმაციის გაცემის ვალდებულება.

71 ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი – მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/43CyY6z> (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

72 EMC, თამარ გვასალია – ოპიოიდებზე დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამები პენიტენციურ სისტემაში (კანონმდებლობის ანალიზი), 2021.

ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული პირების მკურნალობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობა (მლნ. ლარებში)



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განცხადების წარდგენიდან 5 თვის შემდეგაქვე არ მოგვანოდა საჯარო ინფორმაცია ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლებისთვის განკუთვნილი მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების სერვისების შესახებ.⁷³ 2022 წელს გამოთხოვილი ინფორმაციით⁷⁴ ირკვევა, რომ ნარკოტიკების პრობლემურ მომხმარებლებს მიეწოდებათ შემდეგი ტიპის სამკურნალო სერვისები:

- სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორებისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს;
- ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამისა და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა თბილისსა და რეგიონებში;
- ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა;
- №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის უზრუნველყოფა;
- ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება;

73 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საჯარო ინფორმაცია არ მოგვანოდა განმეორებითი წერილობითი მოთხოვნის გაგზავნისა და არაერთი სატელეფონო კომუნიკაციის მიუხედავად.

74 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 30 მარტის № 01/8525 წერილი.

- „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – ნივთიერებადამოკიდებულების (მათ შორის, ნარკოტიკებზე) და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების პრევენცია.

საქართველოში ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის (ოჩთ) ორი პროგრამა მოქმედებს – მეტადონისა და სუბოქსონის. 2022 წლის ივლისის მდგომარეობით, ორივე სახელმწიფო პროგრამაში ჯამში 12 ათასზე მეტი მოსარგებლე იყო ჩართული. ბენეფიციართა მზარდი რაოდენობის მიუხედავად, საქართველოში ოჩთ პროგრამებით სარგებლობა კვლავ არაერთ გამონწვევასთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, პრობლემად რჩება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხი. საქართველოში ამ ეტაპზე ჩანაცვლებითი თერაპიის 22 ცენტრი მოქმედებს. პროგრამები არ არის, მაგალითად, ქვემო ქართლსა და რაჭა-ლეჩხუმში.⁷⁵ გარდა ამისა, ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისებით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა ცხადყოფს, რომ ცენტრში ყოველდღიურად სიარულის საჭიროება აფერხებს მკურნალობის პროცესს ბენეფიციართათვის. აქედან გამომდინარე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ისევე როგორც საკითხზე მომუშავე სხვადასხვა სათემო და საერთაშორისო ორგანიზაციები, მიზანშეწონილად მიიჩნევენ პროგრამის სტაბილური მოსარგებლეებისთვის რამდენიმე დღის სამყოფი მედიკამენტის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.⁷⁶

75 ნათია ამირანაშვილი, მეტადონის კლინიკას მოსახლეობის წინააღმდეგობა კვლავ ხვდება | სად არის პრობლემა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mZ70Sk>, (წვდომის თარიღი: 31.05.2023).

76 ვრცლად ამ თემაზე იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გიორგი ფოცხვერიშვილი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში – 2021 წლის ტენდენციები, 2022, გვ. 35-36.

შეჯამება და რეკომენდაციები

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 2022 წელი ნარკოპოლიტიკის სფეროს სისტემური ცვლილებების თვალსაზრისით, წინა წლებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა. კვლავაც დღის წესრიგში დგას საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კანონმდებლობაში ასახვის აუცილებლობა და საჯარო უწყებების მიერ არასრულყოფილი სტატისტიკის წარმოების პრობლემა. ანგარიშის ფარგლებში აგრეთვე გამოიკვეთა, რომ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციის მიზნით ქვეყანაში მხოლოდ ფრაგმენტული და წერტილოვანი პროგრამები ხორციელდება, რაც ვერ უზრუნველყოფს მასშტაბურ და გრძელვადიან შედეგს.

საქართველოში მოქმედი ნარკოკანონმდებლობა მეტწილად ისევ სადამსჯელო ღონისძიებებისა და მინორდების შეზღუდვისკენაა მიმართული. შესაბამისად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი აუცილებლად მიიჩნევს ნარკოპოლიტიკის ძირეული რეფორმის განხორციელებას, რომელიც სადამსჯელო ღონისძიებების ნაცვლად ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და პრევენციული ღონისძიებების გატარებისკენ იქნება მიმართული. სისტემურ რეფორმაში მოვიაზრებთ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დეკრიმინალიზაციას, ნარკოდანაშაულისთვის გათვალისწინებული სანქციების ლიბერალიზაციას, აგრეთვე, უფლებების ჩამორთმევის მექანიზმის რეფორმირებასა და მკურნალობა-რეაბილიტაციის სისტემის გაუმჯობესებას.

სისტემური რეფორმის გასატარებლად საჭირო პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში კი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნარკოვითარების გაუმჯობესებისა და ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციის კუთხით, სახელმწიფო უწყებებს მოუწოდებს, როგორც მინიმუმ, გადადგან შემდეგი ნაბიჯები:

საქართველოს პარლამენტმა:

- 2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, უზრუნველყოს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, მათ შორის, დროულად განიხილოს პარლამენტში უკვე ინიცირებული კანონპროექტები;
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსში განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები;

- უზრუნველყოს ე.წ. სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის მექანიზმის რეფორმირება – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან მიმართებით გააუქმოს უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობა, სისხლის სამართლის დანაშაულებთან მიმართებით კი, დისკრეციული უფლებამოსილების სახე მისცეს მას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ:

ოპტიმალურ ვადაში განიხილოს ნარკოტიკულ დანაშაულებთან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ:

- ფართოდ ხელმისაწვდომი გახადოს ოპიოიდებით ჩანაცვლების პროგრამები და გააუმჯობესოს არსებული სერვისები;
- სააფთიაქო ქსელებთან კომუნიკაციის გზით გადადგას ნაბიჯები პრეპარატ „ნალოქსონის“ (Naloxone) მარაგის შესავსებად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა:

პირველადი პრევენციის გაძლიერების ფარგლებში გააფართოონ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრევენციულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა წრე.

ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრმა უწყებებმა:

- გააუმჯობესონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი;
- დახვეწონ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების მეთოდები;
- დაიწყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ე.წ. სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის სტატისტიკის აღრიცხვა.

The Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs of Georgia:

- Make opioid substitution programs widely accessible and improve existing services;
- Take steps to replenish the supply of Naloxone in pharmacy chains.

The Ministry of Education and Science of Georgia and the Office of Resource Officers of Educational Institutions:

Within the framework of strengthening primary prevention, expand the circle of beneficiaries involved in evidence-based prevention programs;

Member agencies of the Inter-agency Coordinating Council for Combating Drug Abuse:

- Improve the quality of accessibility to public information;
- Improve methods of collecting and processing statistical data;
- Record the statistics concerning the deprivation of civil rights for administrative offenses.

To timely review constitutional complaints and referrals for narcotic crimes and administrative offenses.

The Constitutional Court of Georgia:

- To reform the mechanism of deprivation of civil rights – to revoke the possibility of deprivation of rights for administrative offenders; empower judges with discretionary powers in criminal convictions.
- To implement appropriate legislative amendments for harmonization of the judgments of the Constitutional Court in the Criminal Code;
- To accomplish activities of the Drug Action Plan for 2021-2022 – implement relevant legislative amendments and timely review of bills that are already initiated in the Parliament;

The Parliament of Georgia:

In the absence of the political will vital for systemic reforms, the Social Justice Center calls on the state agencies to take at least the following steps to improve the drug situation and humanize the drug policy:

The drug-related legislation in force primarily employs punitive measures and targets supply restrictions. Therefore, fundamentally reforming drug policy to promote human health protection is vital. Preventive measures must be strengthened, not punitive measures. Systemic reform, as the Social Justice Center believes, is necessary to decriminalize the consumption of narcotic drugs, ease sanctions for drug crimes, reform the mechanism of deprivation of rights, and improve the treatment-rehabilitation system.

To summarize, regarding systemic changes in drug policy, 2022 did not significantly differ from previous years. The need for legislative amendments and harmonization of the judgments of the Constitutional Court into the legislation did not cease to exist. The problem of producing comprehensive statistics by public agencies continues to be a pressing problem. The report highlights that fragmented programs to prevent abusing drug consumption cannot provide large-scale and long-term success.

Conclusion and Recommendations

tion about treatment, rehabilitation and harm reduction services for drug users within 5 months after public information request.⁷³ Although the information requested in 2022,⁷⁴ reveals that the following types of treatment services are provided to persons with a substance use disorder:

- Inpatient detoxification and primary rehabilitation for mental and behavioral disorders caused by the consumption of opioids, stimulants, and other psychoactive substances;
- Provision of the substitution therapy program and delivery of substitute pharmaceutical drugs (transportation, escort) in the city of Tbilisi and regions;
- Provision of psychosocial rehabilitation;
- Provision of short-term and long-term detoxification with substitute pharmaceutical products in N2 and N8 penitentiary facilities;
- Inpatient services for mental and behavioral disorders caused by alcohol use disorder;
- Within the framework of the state program of “health promotion” – prevention of substance addiction (including drugs) and gambling addiction.

Two programs of opioid substitution therapy (OST) are implemented in Georgia – Methadone and Suboxone. As of July 2022, more than 12000 beneficiaries were involved in both state programs. Despite the growing number of beneficiaries, utilizing OST programs in Georgia is still associated with several challenges. Foremost, the issue of geographical accessibility remains a challenge. Currently, 22 substitution therapy centers are operating in Georgia. For instance, programs do not cover Kvemo Kartli and Racha-Lechkhumi.⁷⁵ A survey on users’ satisfaction with substitution therapy services reveals that beneficiaries’ treatment process is hindered by the daily requirement to visit the center. Therefore, the Social Justice Center, as well as various expert communities and international organizations, consider it appropriate to provide stable beneficiaries with the possibility to receive multi-day dosage.⁷⁶

⁷³ The Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs did not provide the Social Justice Center with public information, despite repetitive formal requests and several attempts of telephone communication.

⁷⁴ Letter No.01/8525 of the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs, dated March 30, 2022.


⁷⁵ Natia Amiranashvili, “The methadone clinic is still met with resistance from the population | where lies the problem”, available at: <https://bit.ly/3mZ70Sk>, (accessed on: 31.05.2023).

⁷⁶ For more detailed information on this topic, see The Social Justice Center, Giorgi Potskhverishvili, Drug Policy in Georgia – Trends in 2021, 2022, pp. 35-36.

5.2. Treatment and Rehabilitation Programs

Two methods of opioid use disorder treatment are employed in Georgia: abstinence-based therapy and opioid agonist treatment, i.e., substitution therapy. Many years of international experience has shown that treatment methods focused on drug withdrawal from the very first stages tend to be less effective.⁷¹ Therefore, in the modern medical field, opioid substitution therapy (hereinafter: OST) is recognized as the most effective and long-lasting method of treatment and management of opioid use disorders. OST treatment primarily facilitates reducing illegal drug consumption, as well as to reduce overdose deaths and risk behaviors related to HIV infections.⁷²

The OST program has been implemented in Georgia since 2005. The number of beneficiaries involved in the program has been increasing yearly. The chart illustrates the money allocated annually from the healthcare budget for substance use disorder treatment in 2019-2022.



Ministry of Internally Displaced Persons from Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs of Georgia did not provide the Social Justice Center with public informa-

71 Center for Mental Health and Prevention of Addiction – Methadone Maintenance Treatment available at: <https://bit.ly/43CyY6z> (accessed on: 31.05.2023).
72 EMC, Tamar Gvasalia Substitution Treatment Programs for Opioid Dependent Persons in the Penitentiary System – A Legislative Analysis, 2021.

5.1. Prevention of Fatal Overdoses

The estimated number of injecting drug users in Georgia ranges from 50,000 to 56,000.⁶⁵ There are no official statistics on overdose deaths nationwide; however, according to international statistics, approximately 70,000-100,000 people die globally each year.⁶⁶ Therefore, the issue of overdose management is particularly relevant today worldwide, including in Georgia.⁶⁷

The availability of Naloxone is vital to prevent fatal opioid overdoses.⁶⁸ Naloxone is a drug that momentarily blocks the effects of opioids – it can save lives. It is listed in group II drugs and issued with a form N3 prescription in Georgia. The Ordinance of the Government of Georgia⁶⁹ of March 22, 2022, added Naloxone to the list of “first aid kit” medications, meaning that the drug can be purchased without a prescription in an emergency.

Uncomplicated public access to Naloxone remains a challenge for Georgia, despite the positive step of adding it to the “first aid kit” – pharmacy chains have a relatively limited stock of drugs. Analyzing the websites of pharmacy chains (PSP-Pharmacy LLC, Aversi, GPC-Pharmacy, Pharmadepo, and Impex) proves that Naloxone is only in stock in the Aversi chain, but only in 10 pharmacy shops in Tbilisi, and 9 pharmacy shops through-out regions. The Social Justice Center requested information from the pharmacy chains about the total amount of Naloxone imported and sold by the private pharmacy chains during the reporting period. However, none of them responded.⁷⁰ Considering the vital importance of Naloxone, the Social Justice Center calls on the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs of Georgia to ensure the availability of the drug through communication and advocacy with pharmacy chains.

65 Bemoni Public Union and Curatio International Foundation. (2017). Evaluation of the size of injecting drug users in Georgia.

66 UNAIDS, Do No Harm, 2016. Available at: <https://bit.ly/3C4WwEB> (accessed on 31.05.2023).

67 Statement of the Georgian Harm Reduction Network GHRN is available at: <https://bit.ly/3H7DjL5> (accessed on: 31.05.2023).

68 Opiates and opioids include the following substances: morphine, codeine, heroin, methadone and fentanyl, desomorphine, so-called Sirets, etc.

69 Ordinance No. 141 of the Government of Georgia dated March 22, 2022 is accessible at: <https://bit.ly/3F6WjIn>, (accessed on: 31.05.2023). See also the “first aid kit” list, available at: <https://bit.ly/3LH0Ptl> (accessed on 31.05.2023).

70 Pharmacy chains have no obligation to provide information.

Drug abuse prevention involves a chain of interrelated measures for protecting public health and safety. The links of the “chain” are prevention, treatment/rehabilitation, harm reduction, and supply reduction.⁶⁰ Several targeted measures to prevent drug abuse have been recently implemented in Georgia, although most of them are fragmented. Accordingly, mechanisms that ensure a complex and cohesive approach at the national level must be developed, considering all forms of prevention.⁶¹

As mentioned, the Interagency Council on Drug Abuse approved the Drug Action Plan for 2021-2022 at the beginning of 2021.⁶² The action plan, *inter alia*, compounds a list of prevention activities. Critical components of prevention are to strengthen primary prevention and to implement evidence-based programs in schools.

According to the Office of Resource Officers of Educational Institutions,⁶³ there are two programs implemented in schools tailored to prevent the use of narcotic substances:

- For students under 13 – the program “Evidence-based Method (EUDAP Unplugged Program) for the Prevention of Substance Use”;
- Program for students over 13 – “Prevention of Risky Behaviors.”

In the reporting year, the Psychosocial Service Center’s program focused on students under 13 was conducted in 8 groups of 4 public schools; the program designed for students over 13 – in 49 groups of 41 public schools. In total, 539 sessions were held within the framework of the programs in the reporting period.⁶⁴

60 National Strategy for Prevention of Drug Abuse 2021-2026, available at: <https://bit.ly/43BgT8G> (accessed on: 31.05.2023).

61 National Center for Monitoring the Drug Situation – Annual Report on the Drug Situation 2019.

62 National Strategy for Prevention of Drug Abuse 2021-2026, available at: <https://bit.ly/43BgT8G> (accessed on: 31.05.2023).

63 Letter No. MES 4 23 0000471903 the Office of Resource Officers of Educational Institutions dated April 28, 2023.

64 Ibid.

5. Prevention and Harm Reduction

1. The norms of the Law of Georgia “on Combating Drug-related Crime” that provide for the automatic deprivation of civil rights for convicts in drug-related crimes;

2. The norm of the Law of Georgia “on Public Service” that imposes a blanket and absolute ban on convicts to be employed as public servants.

According to the complaint, contested legal norms contradict⁵⁸ rights of equality, free personal development, inviolability of human dignity, electoral rights, the right to hold public office, and freedom of labor. The constitutional complaint was registered in 2015. Almost 8 years after the registration, the Constitutional Court has yet to make a final judgment. The Social Justice Center considers it unjustified to delay the case for this length of time, especially considering that the complaint concerns one of the most pressing problems.⁵⁹

To summarize, the current mechanism of deprivation of rights has no legitimate basis and only serves to stigmatize drug users. The legislation already empowers the judge reviewing the criminal case to limit various activities of the convict by imposing additional punishments. While it is within the judges authority to impose an additional sentence, deprivation of rights is an automatic procedure. Such an arrangement is a clear continuation of the “zero tolerance” policy and disproportionately restricts the rights of convicts.

58 Since the complaint was filed in 2015, it refers to the relevant articles of the old edition of the Constitution.

59 The decision-making process in the Constitutional Court is being delayed concerning many complaints. For more detailed information on this topic, see The Social Justice Center – The problem of delaying cases by the Constitutional Court of Georgia, available at: <https://bit.ly/440kpdl>, (accessed on: 31.05.2023).

The Social Justice Center requested statistical data from the Supreme Court concerning the deprivation of rights for committing administrative offenses. However, the requested information was not provided. The motivation for the denial was as follows: the form of statistical reports valid in courts does not include the information about the deprivation of civil rights provided by the Law of Georgia “on Combating Drug-related Crime”;⁵¹ For the same reason, the Social Justice Center was unable to receive the requested information from the National Agency for Crime Prevention, Execution of Non-Custodial Sentences and Probation either.⁵² The public agencies uphold the unwelcome trend of refusing to issue public information since the requested data cannot be found in the statistics they have already produced. Refusal to provide public information on such grounds is against their legal obligations. This practice violates the right to access public information guaranteed by the Constitution.⁵³ General Administrative Code of Georgia does not exempt public institutions from responding to requests for large volumes of data or such information, which will require the research and processing information from other public institutions.⁵⁴ In addition, the processing of statistical data on the deprivation of civil rights is essential to assess how judges use their discretionary powers and how uniform is the practice of common courts. Therefore, it is unclear why these data are not recorded in courts.

The legislation envisions the grounds and procedures for restoring deprived civil rights. In particular, restoring deprived rights is allowed: 1. After the expiration of the term defined by law. 2. Based on the appeal of the National Agency for Crime Prevention, Execution of Non-Custodial Sentences and Probation (hereinafter: “Agency”) to the Standing Committee for Considering Questions concerning the Execution of Non-Custodial Sentences and the Revocation of Conditional Sentences of the National Agency of Probation (hereinafter: “the Committee”).⁵⁵ 233 persons applied to the Committee in 2022, to restore their rights, of which 206 applications were approved.⁵⁶

The Social Justice Center appealed to the Constitutional Court in 2015 and asked to review the automatic deprivation of civil rights for convicts. Constitutional Complaint⁵⁷ requests the court to repeal:

-
- 51 Letter No. P-53/23 of the Supreme Court dated January 30, 2023.
 52 Letter No.2/18391 of the National Agency for Crime Prevention, Execution of Non-Custodial Sentences and Probation dated March 2, 2023.
 53 Constitution of Georgia, Part 2 of the Article 18.
 54 General Administrative Code of Georgia, Part 1 of the Article 40.
 55 Article 6 of the law.
 56 Letter No.2/9675 of the National Agency for Crime Prevention, Execution of Non-Custodial Sentences and Probation dated February 3, 2023.
 57 Citizens of Georgia – Konstantine Labartkava, Malkhaz Nozadze, and Irakli Gigolashvili v. the Parliament of Georgia (Constitutional Complaint No. 2/12/702; 16.12.2015).

drug, whether there is indicated aim to sell the drugs, the individual characteristics of the person, etc. There are several good reasons why an individual approach must be applied while deciding on rights deprivation:

- If the judges have the discretion to decide on the issue, they will be obliged to justify the necessity of deprivation of the rights;
- The rulings concerning deprivation of rights will not be formal but based on the circumstances of the specific case;
- The judge will have the freedom to forfeit not all but only those rights, the exercise of which poses risks considering the crime committed and the personality of the convict.
- The judge will be authorized to decide the reasonable and specific timeframe (within the limits stipulated by law) for deprivation while considering the cases circum- stances. As for now, the law does not set minimum and maximum times for the deprivation of the rights. The Law provides for only a single specific term, excluding the possibility of individual approach and imposing proportional restrictions.

Considering these factors, experts in the field believe that the mechanism of deprivation of civil rights has been problematic for years and needs to be reformed. Contrary to that spirit, legislative amendments of 2018⁵⁰ also extended the mechanism of the depriva- tion of rights to administrative offenders (Article 45¹ of the AOCG). Nonetheless, un- like criminal convicts, administrative offenders are not automatically deprived of their rights – the Judge reviewing the case has discretionary powers to decide. Accordingly, the judge has a variety of choices:

- Not to deprive the above-listed rights of the offender;
- To deprive some of the rights of the offender but not all of the listed rights;
- To determine the term of deprivation of the rights (maximum three years).

Empowering the judges with discretionary powers instead of blanketly depriving rights enables judges to come up with fair solutions. However, it must be emphasized that the deprivation of civil rights should not be applied to administrative offenders. Adminis- trative responsibility under Article 45¹ of the AOCG is triggered only when the circum- stances of the case indicate small amounts of marijuana/cannabis. A small amount of marijuana/cannabis does not lead to the rapid formation of addiction on the one hand, and on the other hand, poses only hypothetical risks to public health. Therefore, depri- vation of civil rights for committing an administrative offense with this type and amount of narcotic substances is a disproportionate restriction of one's rights.

50 Law of Georgia – “On amendments to the law “on Combating Drug-related Crime” – 30/11/2018. Avail- able at: <https://bit.ly/45ZaOED> (accessed on: 31.05.2023).

4. Deprivation of Civil Rights

Article 3 of the Law of Georgia “on Combating Drug-related Crime” (hereinafter “law”) automatically deprives convicts of drug-related crimes of some of their civil rights.⁴⁷ Contrasted to that, the judge decides on whether to forfeit the rights of administrative offenders (Articles 45¹ of the AOCC).⁴⁸ Affected civil rights are:

- The right to drive a vehicle;
- The right to medical and/or pharmaceutical practice and the right to establish, manage, or represent a pharmacy;
- The right to practice law;
- The right to work in pedagogical and educational institutions;
- The right to work in public bodies;
- Passive voting rights;
- The right to manufacture, purchase, store, and carry weapons.

The law applies to the following persons:

1. Drug users;
2. Drug dealers;
3. Facilitators of drug-related activities;
4. Facilitators of the spread of narcotic drugs;
5. Administrative offenders (who committed the offense(s) of Article 45¹ of the AOCC – illegal purchase, storage, transportation, transfer, consumption, and/or being under the influence of a small amount of cannabis or marijuana);

The law sets various terms for the deprivation of rights – depending on the crime committed terms range from 3 to 20 years.⁴⁹

